

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

## თამარ სიგუა

გენომური პარამეტრების შესწავლა ძუძუს კიბოს დროს

სადოქტორო პროგრამა „ბიოლოგია“

## დისერტაცია

ბიოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

თეიმურაზ ლეჟავა, პროფესორი,  
ბიოლოგიისმეცნიერებათა დოქტორი

თინათინ ჯოხაძე, ასოცირებული პროფესორი,  
ბიოლოგიის მეცნიერებათადოქტორი

თბილისი 2023

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Faculty of Exact and Natural Sciences

**Tamar Sigua**

**Study of Genomic Parameters in the case of Ductal Breast  
Cancer**

PhD Programm „Biology“

**PhD thesis**

To obtain the academic degree of PhD in Biology

Scientific supervisors:

**Teimuraz Lezhava**, Professor,  
Doctor of Biological Sciences

**Tinati Jokhadze**, Associated Professor,  
Doctor of Biological Sciences.

Tbilisi 2023

## ანოტაცია

კვლევის მიზანს წარმოადგენდა გენომის ფუნქციური პარამეტრების სპეციფიკური ცვალებადობის გამოვლენა ძუძუს კიბოს სადინროვანი ფორმით დაავადებულ ინდივიდებში, და მისი ნორმალიზაციის შესაძლებლობების დასახვა.

წარმოდგენილი კვლევის აქტუალობა განპირობებულია, ერთი მხრივ, საკუთრივ ძუძუს კიბოს ეპიდემიოლოგიით (მისი სიხშირის ზრდის პროგრესული ხასიათით), მეორე მხრივ, ეპიგენეტიკური რეგულაციის ამსახველი გენომური პარამეტრების ცვალებადობის შესწავლის მნიშვნელობით, რაც ამ დაავადებისათვის სპეციფიკური დამატებითი ეპიგენეზური ფაქტორების გამოვლენისა და მათი კორექციის შესაძლებლობას იძლევა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ძუძუს კიბოს კვლევები ამ მიმართულებით საქართველოში არ ჩატარებულა, და, შესაბამისად, მიღებული შედეგები ორიგინალურია.

კვლევის მიზნის შესაბამისად დასახული იყო შემდეგი ამოცანები:

1. ქრომატინის ზოგადი მდგომარეობის შეფასება, ქრომატინის ლლობის პარამეტრების ცვალებადობის დადგენის გზით, დიფერენცირებული სკანირების მიკროკალორიმეტრიული მეთოდის გამოყენებით. 2. აკროცენტრულ ქრომოსომათა ასოციაციების სიხშირის დადგენა და გარკვეულ ქრომოსომებში ბირთვაკმაორგანიზებელი უბნების აქტივობის შეფასება ძუძუს კიბოს სადინროვანი ფორმით დაავადებულებში, როგორც სინთეზური პროცესების ინტენსივობის განსაზღვრის, ისე ამ დაავადებისათვის სპეციფიკური მარკერის გამოსავლენად. 3. ქრომოსომათა მუტაციების (აბერაციები, ანეუპლოიდია, პოლიპლოიდია, ფრაგილური საიტები, ერთძაფიანი წყვეტები, ქრომატიდთაშორისი გაცვლების დონის განსაზღვრა, 4. ძუძუს კიბოთი დაავადებული ინდივიდების გენომზე ლივაგენისა და კობალტის განმხოლოებული და ერთობლივი მოქმედების მაკორეგირებელი ეფექტის შესწავლა.

კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგებით დადგინდა, რომ ძუძუს სადინროვანი კიბოთი დაავადებულთ ინდივიდთა ლიმფოციტური კულტურების უჯრედებში უჯრედებში ადგილი აქვს ქრომატინის მოდიფიკაციურ ცვალებადობას (ჰეტეროქრომატინიზაციის მატებას); ძუძუს კიბოთი დაავადებულთა ლიმფოციტურ კულტურებში გაზრდილია ჰომოლოგიურ ქრომოსომათა 15:15 ტიპის ქრომატიდული ასოციაციების სიხშირე, გამოხატული რიბოსომული ცისტრონების გაზრდილი ექსპრესიით, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული ავთვისებიანი სიმსივნისათვის სადიაგნოსტო მარკერს; დაავადებულთა ლიმფოციტური კულტურების უჯრედებში გაზრდილია ქრომოსომული არასტაბილურობის დონე (აბერაციები, ანეუპლოიდია, პოლიპლოიდია, ერთძაფიანი წყვეტები, ფრაგილური საიტები); პეპტიდურ ბიორეგულატორი ლივაგენი (Lys-Glu-Asp-Ala) ხასიათდება ძუძუს სადინროვანი კიბოთი დაავადებულ ინდივიდთა შეცვლილი გენომის მაკორეგირებელი უნარით; მიღებულ

შედეგებს მნიშვნელობა აქვს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი სტრატეგიის განსაზღვრისათვის.

### **Annotation**

The work aimed to reveal the specific variation of the functional parameters of the genome in individuals suffering the ductal form of breast cancer and to determine the possibilities of its normalization.

The relevance of the presented research is due, on the one hand, to the epidemiology of breast cancer itself (the progressive nature of its frequency increase), on the other hand, to the importance of studying the variability of genomic parameters reflecting epigenetic regulation, which provides the opportunity to identify additional epigenetic factors specific to this disease and to correct them.

It should also be noted that breast cancer studies in this direction have not been conducted in Georgia, and therefore, the obtained results are original.

In accordance with the purpose of the research, the following tasks were set:

1. Evaluation of the general state of chromatin by determining the variation of chromatin loosening parameters using the differential scanning microcalorimetric method;
2. Determining the frequency of acrocentric chromosome associations and evaluating the activity of nucleolar organizing regions in certain chromosomes in patients with a ductal form of breast cancer, both to determine the intensity of synthetic processes and to identify a specific marker for this disease.
3. Determination of chromosome mutations (aberrations, aneuploidy, polyploidy, fragile sites, single strand breaks, level of sister chromatid exchanges;
4. Study of the corrective effect of Livagen and cobalt ions on the genome of individuals suffering from breast cancer.

The results obtained within the framework of the study determined that, in the lymphocyte cells of patients with ductal breast cancer, there is a modification of chromatin (increased heterochromatinization); In lymphocyte cultures of breast cancer patients is increased frequency of 15:15 type chromatid associations of homologous chromosomes, revealed by increased expression of ribosomal cistrons, is a diagnostic marker for this malignant tumor type. The level of chromosomal instability (aberrations, aneuploidy, polyploidy, single-strand breaks, fragile sites) is increased in the cells of lymphocyte cultures of ductal breast cancer patients; Peptide bioregulator Livagen (Lys-Glu-Asp-Ala) is characterized by its ability to regulate the altered genome of individuals suffering from ductal breast cancer. The obtained results are important for determining a new strategy for diagnosis and treatment.

## სარჩევი

1. შესავალი -----	5
2. ლიტერატურის მიმოხილვა -----	9
2.1. ძუძუს კიბოს განვითარების რისკ-ფაქტორები-----	9
2.2. ძუძუს კიბოს ფორმები და მასთან დაკავშირებული გენები-----	9
2.3. ქრომოსომათა სტრუქტურული ცვლილებები-----	12
2.4. გენომის ფრაგილური საიტები-----	13
2.5. შვილეულ ქრომატიდთაშორისი გაცვლები-----	18
2.6 Ag - დადებითი ბირთვაკმაორგანიზებელი უბნების გამოვლენის სიხშირე და განაწილების თავისებურება აკროცენტრულ ქრომოსომებზე . ბირთვაკმაორგანიზებელი უბნები. მათი როლი რიბოსომების ფორმირებაში -----	20
2. 7. მეტალთა იონების ბიოლოგიური აქტივობა-----	23
2.8. პეპტიდური ბიორეგულატორები -----	26
3. კვლევის მასალა და მეთოდика-----	29
3.1. კვლევის მასალა-----	29
3.2. კვლევის მეთოდები-----	29
3.2.1 . დიფერენციული სკანირების მიკროკალორიმეტრული მეთოდი-----	29
3.2.2. ადამიანის პერიფერიული სისხლის ლიმფოციტების კულტივირება-----	30
3.2.3. ქრომოსომული მუტაციების აღრიცხვის მეთოდი-----	31
3.2.4. ფრაგილური საიტების გამოვლენისა და აღრიცხვის მეთოდი-----	31
3.2.5. ქრომატინის ერთძაფიანი წყვეტების გამოვლენის მეთოდი - Comet assay-----	32
3.2.6. შვილეულ ქრომატიდთაშორისი გაცვლების (შქგ) გამოვლენის მეთოდი-----	33
3.2.7. აკროცენტრულ ქრომოსომათა ასოციაციათა აღრიცხვის მეთოდი-----	34
3.2.8. ბირთვაკმაორგანიზებელი უბნების გამოვლენის მეთოდი-----	35
3.2.9. G-ბენდირების მეთოდი-----	35
4. მიღებული შედეგები და განსჯა-----	37
4.1. ჰეტეროქრომატინიზაციის დონის განსაზღვრა ძუძუს კიბოთი დაავადებულეებში დიფერენციული სკანირების მიკროკალორიმეტრული მეთოდის გამოყენებით -----	37
4.2. გენომის სტაბილურობის დონის ცვალებადობის შეფასება ძუძუს სადინროვანი კიბოთი დაავადებულთა ლიმფოციტებზე ბიორეგულატორისა და მეტალის განმხლოებული და ერთობლივი მოქმედების დროს-----	39

4.2.1. ფრაგილური საიტების სიხშირისა და განაწილების შესწავლა ძუძუს კიბოთი დაავადებულთა ლიმფოციტებზე ბიორეგულატორისა და მეტალის განმხოლოებული და ერთობლივი მოქმედების დროს-----	46
4.2.2. დნმ-ს ერთძაფიანი წყვეტების შემცველ უჯრედთა სიხშირის განსაზღვრა ძუძუს სადინროვანი კიბოთი დაავადებულ ინდივიდებში-----	52
4.3. შვილელ ქრომატიდთაშორისი გაცვლების სიხშირისა და განაწილების შესწავლა ძუძუს სადინროვანი კიბოთი დაავადებულთა ლიმფოციტებზე ბიორეგულატორისა და მეტალის განმხოლოებული და ერთობლივი მოქმედებისას -----	53
4.4. Ag - დადებითი ბირთვაკმაორგანიზებელი უბნების გამოვლენის სიხშირე და განაწილების თავისებურება აკროცენტრულ ქრომოსომებზე ბიორეგულატორისა და მეტალის ერთობლივი და განმხოლოებული ზემოქმედებისას ძუძუს სადინროვანი დაავადებულებში -----	58
4.5. ქრომატიდული ასოციაციების ტიპები და რიბოსომული ცისტრონების აქტივობის შეფასება ბიორეგულატორისა და მეტალის იონების განმხოლოებული და ერთობლივი მოქმედებისას ძუძუს სადინროვანი კიბოთი დაავადებულებში -----	66
4.5.1. ბიორეგულატორისა და მეტალის იონების კომბინირებული მოქმედება ქრომატიდული ასოციაციების ტიპების ინტენსივობაზე ძუძუს კიბოთი დაავადებულ ინდივიდთა ლიმფოციტური კულტურების უჯრედებში-----	68
5. დასკვნა-----	71
6. გამოყენებული ლიტერატურა-----	73
7. განმარტებები-----	84

## 1. შესავალი

### თემის აქტუალობა

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით მსოფლიოში დარეგისტრირებულია 18,1 მილიონი ადამიანი კიბოს პირველადად გამოვლენილი დიაგნოზით და კიბოთი სიკვდილის 9,6 მილიონი შემთხვევა. კიბოს სხვადასხვა ფორმით ავადობისას პირველ ადგილზე (ორივე სქესისათვის) ფილტვის კიბოა (11,6%), მეორეზე - ძუძუს კიბო (11,5%). 2020 წლის მონაცემებით ქალებში კიბოთი ავადობის სიხშირისა და ონკოლოგიური დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის მიხედვით ძუძუს კიბო პირველ ადგილზეა (WHO.int./news-room 2023). მიღებულია, რომ კიბო ზოგადად ალბელ კონკრეტულ პათოლოგიას კი არ წარმოადგენს, არამედ დაავადებათა ჯგუფს, რომელიც 100-ზე მეტი ცალკეული ერთეულისაგან შედგება, და ამასთან, მათი განვითარების მექანიზმები განსხვავებულია. ნებისმიერ შემთხვევაში კიბოს განვითარებაში გენოტიპის როლი ძალიან მაღალია ავთვისებიანი ტრანსფორმაცია რთული, მრავალეტაპიანო პროცესია, რომელიც მოიცავს ონკოგენთა შემთხვევით აქტივაციას, სიმსივნის სუპრესორი გენების საილესინგს და ხორციელდება გენეტიკური და/ან ეპიგენეტიკური მოვლენების მეშვეობით. გასული საუკუნის 70-იან წლებში ა.კნუდსენის მიერ კიბოსთან დაკავშირებით გამოითქვა მოსაზრება, რომლის თანახმადაც ერთი სომატური მუტაცია უჯრედში მხოლოდ ზრდის რისკს უჯრედის ავთვისებიანი ტრანსფორმაციისა, იგივე გენის მეორე ალელის მუტაციური დაზიანება კი იწვევს უჯრედის უკონტროლო ზრდასა და სიმსივნის ფორმირებას (knudson's two-hit hypothesis for tumorigenesis involving a tumour suppressor genes). ეს თეორია ონკოლოგიაში ცნობილია კნუდსონის ორდარტყმიანი მოდელის სახელწოდებით.

თუ ადრეულ შრომებში კანცეროგენეზად მოიაზრებოდა მუტაციების დაგროვების ხანგრძლივი პათოფიზიოლოგიური პროცესი, რომელიც საბოლოოდ იწვევს სიმსივნის ფორმირებას, ბოლო წლების შრომებში პარალელურად სულ უფრო დიდი ყურადღება ეთმობა ეპიგენეზური სურათის ცვალებადობას. ეს გასაგებიცაა, რადგან ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მუტანტური გენების ჰეტეროზიგოტულ მატარებლობას, და

ხშირად, ავთვისებიანად ტრანსფორმაციის მიზეზს მუტანტური ალელის ჰომოზიგოტურ მდგომარეობაში გადასვლა ანუ ახალი მუტაციის ფორმირება კი არ იწვევს, არამედ ნორმალური ალელის ეპიგენეზური გამორთვა.

მიღებულია, რომ კანცეროგენეზში ჩართული გენებია: ონკოგენები (პროტოონკოგენების მუტანტური ვარიანტები), სიმსივნის სუპრესორი გენები და რეპარაციის მარეგულირებელი გენები. ნაჩვენებია, რომ ეპიგენეზურ მექანიზმებს შორის, რომლებიც ჩართულნი არიან ეპიგენეზურ რეგულაციაში (გენების აქტივაცია-დეაქტივაციაში), გადამწყვეტ როლს ასრულებს ქრომატინის მოდიფიკაციური ცვალებადობა (ჰეტერო- და დეჰეტეროქრომატინიზაცია), რომელიც პირველადია როგორც მუტაგენეზთან, ისე რეპარაციულ პროცესებთან მიმართებაში (Lezhava et al., 2008).

რაც შეეხება ძუძუს კიბოს, მისი გაჩენის სიხშირეს ზრდის, პირველ რიგში, BRCA1 და BRCA2 გენების მუტაციები. ამ გენების მუტაციებით არის განპირობებული ძუძუს კიბოთი ავადობის 87%. ძუძუს კიბო მემკვიდრულ წინასწარგანწყობის დაავადებას წარმოადგენს, რაც დასტურდება BRCA1 და BRCA2 გენების მუტანტური ალელების მაღალი ჰეტეროზიგოტული მატარებლობით და ანამნეზში ოჯახური შემთხვევების არსებობით. სავარაუდოა, რომ მუტანტური ალელების ჰომოზიგოტიზაციის გარდა, (რაც რეპარაციის დარღვევასა და ახალი მუტაციების წარმოქმნასთან არის დაკავშირებული), გარკვეულ როლს ძუძუს კიბოს წარმოქმნაში ქრომატინის მოდიფიკაციური (ეპიგენეზური) ცვალებადობა უნდა ასრულებდეს. ამის დადასტურება შესაძლებელია ეპიგენეზური რეგულაციის ამსახველი გენომის ფუნქციური პარამეტრების ცვალებადობის შესწავლით. ასეთ გენომურ პარამეტრებს წარმოადგენს: ქრომოსომათა სტრუქტურულ-რაოდენობრივი ცვლილებების მაჩვენებელი, ქრომატინის ზოგადი კონდენსაციის ცვალებადობის მაჩვენებელი, აკროცენტრულ ქრომოსომათა ასოციაციური აქტივობის მაჩვენებელი. ყველა ეს გენომური პარამეტრი მჭიდროდ არის დაკავშირებული გენომის ფუნქციონირებასთან და იძლევა როგორც ქრომატინის ზოგადი მდგომარეობის შეფასების, ასევე ძუძუს კიბოსათვის დამატებითი სპეციფიკური მარკერების გამოვლენის შესაძლებლობას.



გამომდინარე იქიდან, რომ ეპიგენეზური ცვალებადობა შექცევად ხასიათს ატარებს, დგება, აგრეთვე, ამ ცვალებადობის ნორმალიზაციის საკითხი, ანუ ისეთი საშუალებების მოძიება, რომელთაც ძუძუს კიბოს შემთხვევაში შეცვლილი გენომური პარამეტრების კორექციის უნარი აქვთ. ამ კუთხით, პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს გერიატრიულ პრაქტიკაში გამოყენებული ახალი თაობის სინთეზური რეგულატორული ოლიგონუკლეოტიდები. ზოგიერთი მათგანისათვის ნაჩვენებია პათოლოგიის ზეგავლენით მოდიფიცირებული - ჰეტეროქრომატინიზირებული ქრომატინის ნორმალიზაციის უნარი (Lezhava et al., 2008).

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი კვლევის აქტუალობა განპირობებულია, ერთი მხრივ, საკუთრივ ძუძუს კიბოს ეპიდემიოლოგიით (მისი სიხშირის ზრდის პროგრესული ხასიათით), მეორე მხრივ, ეპიგენეტიკური რეგულაციის ამსახველი გენომური პარამეტრების ცვალებადობის შესწავლის მნიშვნელობით, რაც ამ დაავადებისათვის სპეციფიკური დამატებითი ეპიგენეზური ფაქტორების გამოვლენისა და მათი კორექციის შესაძლებლობას იძლევა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ძუძუს კიბოს კვლევები ამ მიმართულებით საქართველოში (ქართულ პოპულაციაში), არ ჩატარებულა, და, შესაბამისად, მიღებული შედეგები ორიგინალურია.

**სამუშოს მიზანს** წარმოადგენდა გენომის ფუნქციური პარამეტრების სპეციფიკური ცვალებადობის გამოვლენა ძუძუს კიბოს სადინროვანი ფორმით დაავადებულ ქართული პოპულაციის ინდივიდებში, და მისი ნორმალიზაციის შესაძლებლობების დასახვა.

კვლევის მიზნის შესაბამისად დასახული იყო შემდეგი **ამოცანები**:

- ქრომოსომათა მუტაციების (აბერაციები, ანეუპლოიდია, პოლიპლოიდია, ფრაგილური საიტები, ერთმაფიანი წყვეტები, ქრომატიდთაშორისი გაცვლების დონის განსაზღვრა,
- ქრომატინის ზოგადი მდგომარეობის შეფასება, ქრომატინის ლლობის პარამეტრების ცვალებადობის დადგენის გზით, დიფერენცირებული სკანირების მიკროკალორიმეტრიული მეთოდის გამოყენებით.

- აკროცენტრულ ქრომოსომათა ასოციაციების სიხშირის დადგენა და გარკვეულ ქრომოსომებში ბირთვაკმაორგანიზებული უბნების აქტივობის შეფასება ძუძუს კიბოს სადინროვანი ფორმით დაავადებულებში, როგორც სინთეზური პროცესების ინტენსივობის განსაზღვრის, ისე ამ დაავადებისათვის სპეციფიკური მარკერის გამოსავლენად.
- ძუძუს კიბოთი დაავადებული ინდივიდების გენომზე ლივაგენისა და კობალტის განმხილვით და ერთობლივი მოქმედების მაკორეგირებელი ეფექტის შესწავლა.

## 2.ლიტერატურის მიმოხილვა

### 2.1. ძუძუს კიბოს განვითარების რისკ-ფაქტორები

ძუძუს კიბო არის კომპლექსური დაავადება, რომელიც განპირობებულია გენეტიკური და გარემო ფაქტორების ზემოქმედებით (Martin, Weber 2000). სარძევე ჯირკვლის კიბოსთან მიმართებაში არ არის გამოვლენილი ერთი რომელიმე სპეციფიკური ფაქტორი, თუმცა ცნობილია რისკ-ფაქტორების ჯგუფი, რომლებიც მნიშვნელოვნად ზრდიან აღნიშნული დაავადების განვითარების ალბათობას. პირველ ხარისხოვან რისკ-ფაქტორებს წარმოადგენს გენეტიკური და ჰორმონალური ფაქტორები. ძუძუს კიბოს განვითარება ძირითადად დაკავშირებულია ორ დომინანტურ გენში BRCA1 და BRCA2-ში მუტაციების წარმოქმნასა და არასრულფასოვან ფუნქციონირებასთან. აღსანიშნავია, რომ ასაკის ზრდასთან ერთად, ძუძუს კიბოს განვითარების რისკიც იმატებს და მისი სიხშირე 40-50 წლის ასაკისათვის პიკს აღწევს. დაახლოებით ორჯერ იმატებს ძუძუს კიბოს რისკი ქალებში, რომელთაც აქვთ ადრეული მენარქე - 12 წლამდე და გვიანი მენოპაუზა - 55 წლის ზევით. ასევე ორჯერ მეტია იმ ქალთა ძუძუს კიბოთი დაავადების სიხშირე, ვისაც პირველი მშობიარობა 30 წლის ასაკის ზევით ჰქონდათ. რისკი მკვეთრად მატულობს ხშირი აბორტებისას და მშობიარობის არარსებობის შემთხვევაში. მნიშვნელოვანია ლაქტაციის პერიოდი მინიმუმ 6 თვემდე, ამ დროს რისკი 20%-ით მცირდება. ფონური დაავადებები, სასქესო ორგანოების ანთებები, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები, სარძევე ჯირკვლის ტრავმები, ჰორმონალური პრეპარატები, ფსიქიური სტრესი, ეკოლოგია, ცხოვრების წირი, ეს ყველაფერი ძუძუს კიბოს განვითარების რისკ-ფაქტორებს მიეკუთვნება (Martin, Weber 2000).

### 2.2. ძუძუს კიბოს ფორმები და მასთან დაკავშირებული გენები

ძუძუს კიბოს მემკვიდრული ფორმის განვითარება ძირითადად დაკავშირებულია ორ დომინანტურ გენში BRCA1 და BRCA2-ში (სურ.2.2.1.) მუტაციების გაჩენასა და ამ გენების არასრულფასოვან ფუნქციონირებასთან (Shiovitz, Korde, 2015). BRCA1 და BRCA2 გენების საფუძველზე კოდირებული ცილების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს უჯრედული გენომის სტაბილურობის შენარჩუნება. ეს ცილები პასუხისმგებელი არიან დნმ-ის

რეპარაციაზე. თუ რომელიმე უჯრედში არ ხდება დნმ-ის სტრუქტურის ზუსტი აღდგენა, აღნიშნული გენები რთავენ აპოპტოზის მექანიზმს და უჯრედი იღუპება.

BRCA1 გენის დეფექტი ავთვისებიან სიმსივნის გაჩენას იწვევს შემთხვევათა 85%-ში. BRCA1 გენი ლოკალიზებულია მე-17 ქრომოსომის გრძელი მხრის მედიალურ უბანში (17q21) და შეიცავს 38,449,839-დან 38,530,993 გენს. BRCA1 გენი აკოდირებს ბირთვულ ფოსფოპროტეინს, რომელიც მონაწილეობს გენომის სტაბილიზაციის შენარჩუნებაში და მოქმედებს, როგორც სიმსივნის სუპრესორი. დნმ-ის დაზიანების სენსორებთან და სიგნალ-ტრანსდუქციულ ცილებთან ერთად იგი აყალიბებს მულტიპროტეინულ კომპლექსს, რომელიც ცნობილია BASC-ს სახელწოდებით. ეს პროტეინი მონაწილეობს ტრანსკრიპციაში, დნმ-ის რეპარაციაში და რეკომბინაციაში. მუტაციები ამ გენში შემთხვევათა 40%-ში იწვევს ძუძუს ავთვისებიან სიმსივნეს. გენის სტრუქტურულ და ფუნქციურ ცვლილებებში მთავარ როლს ალტერნატიული სპლაისინგი თამაშობს. დადგენილია, რომ BRCA დომენში BRCA1-ის ნუკლეოტიდური ცვლილება აზიანებს ამ პროტეინის კავშირს p-53-თან. BRCA1 გენტან დაკავშირებულია 600-მდე მუტაცია, რომლებიც ასოცირებულია სიმსივნის განვითარების მაღალ რისკთან. მრავალი მათგანი იწვევს ამინომჟავის შეცვლას BRCA1 პროტეინში. ამის გამო პროტეინი ვეღარ მონაწილეობს დნმ-ის რეპარაციაში.


BRCA2 გენი მიეკუთვნება სიმსივნის სუპრესორ გენებს. მსგავსად სხვა სიმსივნის სუპრესორი გენებისა, BRCA2 გენი ხელს უშლის უჯრედების სწრაფ ზრდასა და დაყოფას არაკონტროლირებადი გზით. BRCA2 გენი ლოკალიზებულია მე-13 ქრომოსომაში, კერძოდ 13q12 მდგომარეობაში. მოლეკულური ლოკალიზაცია 31787616-დან 31871804 ნუკლეოტიდურ წყვილამდე. BRCA2 გენი აკოდირებს ცილას, რომელიც ჩართულია დაზიანებული დნმ-ის აღდგენაში. დაზიანებები შეიძლება გამოწვეულ იქნას ბუნებრივი, რადიაციული ან სხვა გარემო ფაქტორებით. დნმ-ის რეპარაციის გზით ეს პროტეინი ხელს უწყობს უჯრედის გენეტიკური ინფორმაციის სტაბილიზაციას. BRCA2 გენში აღმოჩენილია 450-ზე მეტი მუტაცია. მათი უმეტესობა იწვევს ძუძუს კიბოს. მუტაციები ძირითადად გამოწვეულია ნუკლეოტიდური წყვილების ამოვარდნით ან ჩართვით BRCA2 გენში. უმეტესობა ამ მუტაციებისა არღვევს ნორმალური პროტეინის

პროდუქციას, რაც გამოიხატება ანომალურად პატარა, არაფუნქციური BRCA2 პროტეინის სინთეზში. ამგვარი დეფექტური პროტეინი ვერ ახორციელებს დაზიანებული დნმ-ის აღდგენას, ხდება მუტაციების დაგროვება, რაც განაპირობებს უჯრედების არაკონტროლირებულ დაყოფასა და სიმსივნის განვითარებას.

სიმსივნის სუპრესორი გენების მუტაციებით ინდუცირებული ავთვისებიანი სიმსივნეების დროს ძირითად როლს ასრულებს ამ მუტაციათა ჰომოზიგოტიზაცია, ანუ კონსტიტუციური ჰეტეროზიგოტურობის დაკარგვა. სიმსივნის სუპრესორი გენებისათვის დამახასიათებელია დამემკვიდრების აუტოსომურ-რეცესიული ტიპი, რის გამოც ალელის ჰეტეროზიგოტური მდგომარეობისას სიმსივნის განვითარება არ ხდება. კანცეროგენეზის მექანიზმების რეალიზაციას ადგილი აქვს მხოლოდ მუტანტური ალელის ჰომო- ან ჰემიზიგოტური მდგომარეობის დროს. სომატურ უჯრედებში, მათი ცხოველყოფილობის პროცესში მიმდინარეობს მუტაციური პროცესი, რის გამოც უჯრედმა შეიძლება დაკარგოს მოცემული ალელის მიმართ ჰეტეროზიგოტურობა. მუტაციების მიზეზები შეიძლება განსხვავებული იყოს. ხშირად ასეთი მიზეზი რადიაციაა. დადგენილია, რომ მე-17 და მე-13 ქრომოსომებში ლოკალიზებული BRCA1 და BRCA2 მუტანტური გენების თითო ალელის მქონე ჰეტეროზიგოტი ინდივიდები მაღალ მგრძობელობას იჩენენ რადიაციული გამოსხივების მიმართ. გამოსხივების დროს შესაძლებელია მოხდეს აღნიშნული გენების შესაბამის ნორმალურ ალელში დნმ-ს მოლეკულის მუტაცია.

გარდა BRCA გენებისა, მკერდის ავთვისებიანი მემკვიდრული სიმსივნის განვითარება დაკავშირებულია სხვა გენებთანაც: FHIT, RBSA 1, RBSA 2, APC, MCC, HPMS 1. მემკვიდრეობითი შემთხვევების 25%-მდე განპირობებულია ამათაგან ერთ-ერთი იშვიათი, მაგრამ მაღალი პენეტრანტობის მქონე გენის მუტაციით (BRCA1, BRCA2, PTEN, TP53, CDH1 და STK11), რაც იწვევს სიცოცხლის განმავლობაში ძუძუს კიბოს განვითარების რისკის 80%-მდე გაზრდას. შემთხვევების დამატებით 2%-3% განპირობებულია იშვიათი, ზომიერი პენეტრანტობის გენის მუტაციით (მაგ. CHEK2, BRIP1, ATM და PALB2), რომელთაგან თითოეული დაკავშირებულია რისკის ორმაგ ზრდასთან (Shiovitz, Korde, 2015). ყველა სახის ავთვისებიანი გადაგვარების 50%

დაკავშირებულია სიმსივნის სუპრესორ p53 გენტან. დნმ-ს დაზიანების დროს, დარღვევების გამოსასწორებლად მოქმედებს რეპარაციული ფერმენტული სისტემა. თუ დაზიანებული უბნების რეპარაცია არ ხორციელდება, მაშინ უჯრედი ექვემდებარება აპოპტოზს. სხვა შემთხვევაში დაზიანებულ დნმ-ს უერთდება p53 გენის პროდუქტი - ცილა p53, რომელიც მოქმედებს, როგორც ტრანსკრიფციის ფაქტორი. ერთ-ერთი გენი, რომელიც იღებს p53-დან სიგნალს არის გენი WAF1. ამის შემდგომ სინთეზირდება WAF1 გენის პროდუქტი - ცილა p21, რომელიც უკავშირდება Cyc/CDK და აჩერებს კინაზურ აქტივობას, რომელიც აუცილებელია, რომ უჯრედი გადავიდეს G1 ფაზიდან S ფაზაში. G1 ფაზის შეჩერება უჯრედს აძლევს დროს რათა განახორციელოს რეპარაციული სისტემის ინდუცირება და დასხივებით გამოწვეული დაზიანებული დნმ-ს მოლეკულის აღდგენა (Georgiev, 2000).



**სურ.2.2.1.** ნაჩვენებია BRCA1 და BRCA2 გენების ქრომოსომული მდებარეობის სქემა (Mohammed A. 2014. Genetic Cancer Ovary)

### 2.3. ქრომოსომათა სტრუქტურული ცვლილებები

ქრომოსომა ბირთვის მუდმივი კომპონენტია, მისთვის დამახასიათებელია განსაკუთრებული ორგანიზაცია, ინდივიდუალობა, ფუნქცია და რეპლიკაცია, უჯრედთა გამრავლების ციკლში მას აქვს სპირალიზაციისა და დესპირალიზაციის უნარი და უჯრედთა თაობებში ინარჩუნებს ავტონომიურ თვისებებს (Lezhava, 1999). ადამიანის სომატურ უჯრედებში ქრომოსომული აბერაციების ფორმირების კანონზომიერი

პროცესის შესწავლა დიდ ყურადღებას იპყრობს იმ ფაქტორებთან კავშირში, რომლებიც გავლენას ახდენენ ინდუცირებული მუტაგენეზის ინტენსივობაზე. სპონტანური ქრომოსომული აბერაციები ფორმირდება სხვა და სხვა აგენტების გავლენით, რომელთა ზემოქმედებაც იწვევს ქრომოსომათა ინდუცირებულ მუტაციებს. მათ შორისაა ქიმიური, რადიაციული, ვირუსული აგენტები, რომლებიც ჩვეულებრივ არსებობს გარემოში ან წარმოიქმნება მეტაბოლიზმის პროცესში. ლიტერატურული მონაცემებით ნაჩვენებია, რომ აბერანტული ქრომოსომების მქონე უჯრედების სიხშირე საშუალო ასაკის ინდივიდთა უჯრედულ კულტურებში ძირითადად ვარიებს 0,03% – 2,5% –მდე (Lezhava, 2006). ქრომოსომათა სტრუქტურული მუტაციები შესაძლოა იყოს ერთი ან რამდენიმე გაწყვეტისა და შეერთების შედეგი, ბალანსირებულ მდგომარეობაში გადაეცემა (ან არ გადაეცემა) მემკვიდრეობით. ჩატარებული კვლევების (Lezhava, 1999, 2006) შედეგებმა 20–დან 48 წლამდე ასაკის ინდივიდებში (23 ქალი და 25 კაცი) აჩვენა, რომ აბერანტული ქრომოსომების შემცველი უჯრედების რაოდენობა ორივე სქესის ინდივიდებში საშუალოდ შეადგენდა  $1,26 \pm 0,47$  %-ს ქალებში და  $1,57 \pm 0,51$  %-ს მამაკაცებში. ქრომოსომული აბერაციების ტიპების ანალიზმა აჩვენა, რომ საშუალო ასაკის ინდივიდთა უჯრედებში წარმოიქმნება როგორც ქრომოსომული, ასევე ქრომატინული ტიპის აბერაციები. ქრომოსომული დარღვევების ძირითად ფორმას წარმოადგენს ერთეული და წყვილი ფრაგმენტები. გაცილებით იშვიათად ვლინდება დიცენტრული ქრომოსომები, ქრომოსომული და ქრომატიდული ტრანსლოკაციები და ატიპიური ქრომოსომები (Lezhava, 1999).

#### **2.4. გენომის ფრაგილური საიტები**

ადამიანის გენომისთვის დამახასიათებელია ნუკლეოტიდთა გარკვეული თანამიმდევრობის რამდენიმე ასლის სახით არსებობა. განასხვავებენ ტანდემურ (ერთმანეთის მიყოლებით განლაგებულ) და მთელ გენომში დისპერგირებულ განმეორებადობებს. ტანდემურად გამეორებად თანმიმდევრობებში ზომების მიხედვით გამოყოფენ მინი - (10-20-მდე ნუკლეოტიდური წყვილი) და მიკროსატელიტურ (2-5 ნ.წ.) განმეორებადობებს. მინისატელიტები ძირითადად ტელომერების მახლობლად არის

კლასტერიზებული, მიკროსატელიტები კი მთელს გენომშია გაფანტული (Mirceta et al., 2022). ეს უკანასკნელი გამოყენებას პოვნებს სამედიცინო გენეტიკაში სხვადასხვა დაავადებათა კარტირებისათვის.

ტრინუკლეოტიდური გამეორადობები მიკროსატელიტების ერთ-ერთ კლასს წარმოადგენს. ტანდემური ტრინუკლეოტიდური გამეორადობების საფუძველზე ხდება ე.წ. „დინამიური მუტაციების“, წარმოქმნა, რომლებისთვისაც ნიშანდობლივია ამ განმეორებადობათა ასლების რაოდენობის ზრდა როგორც გენის რეგულატორულ, ისე ტრანსლირებად ნაწილებში (Richards and Sutherland, 1992; Weber and Wong, 1993). ნორმაში ზოგიერთი გენისათვის დამახასიათებელია ტრინუკლეოტიდურ განმეორებათა გარკვეული რიცხვი. ნორმალურ ალელებში განმეორებათა რიცხვი შეიძლება ვარიირებდეს რამდენიმე ათეულიდან რამდენიმე ასეულამდე. რიგ შემთხვევაში ადგილი აქვს ტრინუკლეოტიდური განმეორებადობების ექსპანსიას – ასლების რაოდენობის ზრდას სპეციფიკური კრიტიკული ზღვრის ზევით. ქრომოსომებზე ასეთი ექსპანსირებული ტრინუკლეოტიდური განმეორებადობების ლოკალიზაციის უბნები უფრო მგრძნობიარეა გენეტიკური სტრუქტურის ცვლილების თვალსაზრისით, ხასიათდება მაღალი მიდრეკილებით გაწყვეტებისადმი, გვიან რეპლიცირებს (Wang et al., 1999) და ეწოდება ფრაგილური (მსხვრევადი) საიტები (Hecht, 1969).

ფრაგილური საიტები ქრომოსომებზე ვლინდება: ცვალებადი სიგრძის მქონე შეუღებავი უბნის - გეპის სახით, რომელიც ჩვეულებრივ, ორივე ქრომატიდას მოიცავს; მეორადი ჭიმის სახით; დაუსრულებელი ქრომატიდული ან იზოქრომატიდული წყვეტების სახით. ფრაგილური საიტების საფუძველზე შემდგომში ხდება ქრომოსომული მუტაციების ფორმირება. რიგი ფრაგილური საიტებისათვის დადგენილია მემკვიდრეობით გადაცემის უნარი და დამემკვიდრების დომინანტური ხასიათი. ცალკეულ ინდივიდთა და მათი სისხლით ნათესავების უჯრედების ქრომოსომებზე ფრაგილურ საიტებს ერთი და იგივე ლოკალიზაცია აქვთ (M.Mirceta, 2022).

ფრაგილური საიტები კლასიფიცირდება ორი მიმართულებით: 1. პოპულაციაში გავრცელების სიხშირის მიხედვით, სადაც გამოიყოფა 2 შტო: 1) იშვიათი (rare ~2%) ფრაგილური საიტები, რომლებიც ძირითადად ვლინდება ფოლატითა და



თიმიდილატით დამუშავების შედეგად. ფოლატ-მგრძნობიარე მუტაციებს ადგილი აქვს CCG განმეორებებით მდიდარ უბნებში. ყველაზე კარგად შესწავლილი “იშვიათი” ფრაგილური საიტია FRAX, რომელიც გვხვდება ფრაგილურ X სინდრომიან ინდივიდებში (Coffee et al., 2002). იშვიათი ფრაგილური საიტები აღინიშნება მხოლოდ გარკვეულ ინდივიდებსა და მათ ნათესავებში. 2) ზოგადი (common ~50%) ფრაგილური საიტები. მათი ექსპრესია იზრდება დნმ-პოლიმერაზას ინჰიბიტორით უჯრედების დამუშავების შედეგად (Arlt et al., 2003; Sutherland, 2003). ფრაგილური საიტები აღმოჩენილია ადამიანში, პრიმატებში, თაგვებში და შესაძლოა იყოს საფუარშიც კი. იმისათვის, რომ ზოგადი ფრაგილური საიტების ქრომოსომებში მდებარეობა, ისევე როგორც გეპების, გახდეს ხილული, უჯრედმა უნდა გაიაროს რეპლიკაციური სტრესი (Helmrich et al., 2006). ფრაგილური საიტები წარმოადგენენ რიგ პათოლოგიათა ფორმირების მოლეკულურ საფუძველს, რომლებსაც ტრინუკლეოტიდურ გამეორებადობათა ექსპანსიის დაავადებებს უწოდებენ. ფრაგილური საიტების ექსპანსიით არის განპირობებული მთელი რიგი ნეიროდეგენერაციული და ნეიროკუნთოვანი მემკვიდრული დაავადებები.

არსებობს ფრაგილური საიტების ექსპრესიის მექანიზმების რამდენიმე სავარაუდო ახსნა. მიიჩნევენ, რომ ფრაგილური საიტების ერთ-ერთი ფორმის გეპების გამოვლენა განპირობებულია დნმ-ის დესპირალიზაციით. პროცესში ჩართულია თავად დნმ, ჰისტონები, არაჰისტონური ცილები და ორვალენტური იონები. აღინიშნება აგრეთვე, რომ გეპები დასაშვებია მოიცავდეს დნმ-ში კოდირებულ ინფორმაციას. შემთხვევითი (სპორადული) ქრომატიდული გეპები შესაძლოა გამოიწვიოს G1 G2 ფაზაში მიმდინარე პროცესებმა.

აგრეთვე აღსანიშნავია მეთილირების და აცეტილირების როლი გენის ტრანსკრიპციის პროცესში, რომელიც თავის მხრივ ჩართულია ფრაგილური საიტების ექსპრესიაში. H3 ჰისტონის მე-4 და მე-9 ლიზინის მეთილირება განაპირობებს ტრანსკრიპციის რეპრესიას და ჰეტეროქრომატინის წარმოქმნას, რაც FMR1 გენში იწვევს მუტაციას რომელიც საფუძველი ხდება ფრაგილური X სინდრომისა. H3 ჰისტონის მე-9 ლიზინის

მეთილირების შემცირება შესაძლებელია თუ FRAX-იან უჯრედზე ვიმოქმედებთ ჰისტონის დეაცეტილირების ინჰიბიტორით ანუ აცეტილტრანსფერაზებით, რომელიც აღადგენს H4 ჰისტონის აქტივაციას, ეს კი თავის მხრივ იწვევს ტრანსკრიფციის გააქტივებას.

დნმ-ის ინჰიბიტორის დეოქსიცეტიდინის მოქმედების შედეგად FMR1 გენში დნმ-ის მეთილირება აღარ ხდება და აქტივირდება გენის ტრანსკრიპცია. დნმ-ის მეთილირება უკვე დიდხანია ასოცირდება გენის ტრანსკრიპციის რეპრესიასთან. დნმ-ის მეთილირება შეიძლება პირდაპირ იყოს დაკავშირებული გენის გაჩუმებასთან, რომელშიც მონაწილეობენ ტრანსკრიპციის ინჰიბიტორები (Coffee et al., 2002).

ფრაგილური საიტების (როგორცაა პრაქტიკულად ყველა იზოქრომატიდული გეპები) ექსპრესიის სიხშირე შესაძლოა შეიცვალოს საკულტივაციო არის შემადგენლობის ცვლილებით, მაშინაც კი თუ დამატებული აქვს კოლხიციანი. ამ საიტების ექსპრესიაზე შეიძლება პირდაპირ გავლენას ახდენდეს გვიანდელ G1, G2 ან ადრეულ პროფაზაში ქრომატიდების სპირალიზაცია.

ფრაგილური საიტების ექსპრესია შესაძლოა გამოიწვიოს ვირუსული დნმ-ის ურთიერთქმედებამ, მაგრამ ვირუსს შეუძლია მხოლოდ დნმ-ის სპეციფიურ თანმიმდევრობას შეუცვალოს სახე. მაგ. ადენოვირუსი-პირველ და მე-17 ქრომოსომაზე იწვევს ფრაგილური საიტების მსგავს სპეციფიკურ ზედაპირულ დაზიანებას.

ფრაგილური საიტების ექსპრესიის მომატება ინდუცირდება მეტატრექსატით. იგი აფერხებს DHF DHFA-ს გარდაქმნას THFA-დ, რაც მიიღწევა დიჰიდროფოლატ-რედუქტაზას მეშვეობით. ეს კი არის dTMP-ს წარმოქმნის მექანიზმი. ტრიმეთოპრიმი იწვევს fra(X) ექსპრესიის მატებას იგივე გზით, როგორც მეტატრექსატი. ვარაუდობენ, რომ ფრაგილური საიტების ექსპრესია არის არა დნმ-ის სინთეზის ინჰიბირების შედეგი, არამედ გამოწვეულია dTMP-ს წარმოქმნის სპეციფიური ინჰიბირებით.

ზოგადი ფრაგილური საიტების მდებარეობის გამომჟღავნება, როგორც საიტ-სპეციფიკური გეპების და ქრომატიდული წყვეტების სახით, მაშინ როცა უჯრედი დამუშავებულია დნმ-ის სინთეზის ინჰიბიტორით ან აფედიქოლინით. ფრაგილურ საიტებს ემახიან აგრეთვე ცხელ ადგილებს (hot spots), შვილეულ ქრომატიდში

ცვლილებების, ტრანსლოკაციების და დელეციების გამო, აგრეთვე უჯრედულ კულტურაში პლაზმიდის ინტეგრაციისას მიმდინარე რეპლიკაციური სტრესის გამო.

ზოგადი ფრაგილური საიტების რეპლიკაციის შესწავლით აღმოჩნდა რომ მათი რეპლიკაცია ხდება გვიან. აფედიქოლინის და დნმ პოლიმერაზა A-ს ინჰიბიტორის დამატებით, რეგიონები რეპლიცირდება ერთნაირად გვიან. გვიანი ან შენელებული რეპლიკაცია ხელს უწყობს ფრაგილური საიტების არასტაბილურობას და არარეპლიცირებული დნმ-ის ჩართვას G2 ფაზაში.

რეპლიკაციის მაკონტროლებელი წერტილი და ცილა ATR (რეპარაციაზე პასუხისმგებელი ცილა) არის მნიშვნელოვანი ფრაგილური საიტების სტაბილურობაში. რომლებიც წარმოადგენენ დნმ-ის დამცველებს ფრაგილური საიტების გაწყვეტებისაგან რეპლიკაციის განმავლობაში. ვინაიდან ფრაგილური საიტები განლაგებულია სიმსივნესთან ასოცირებულ გენებთან ახლოს, შესაძლოა ATR ცილების დეფექტი მონაწილეობდეს სიმსივნის პროგრესირებაში.

კასპერმა აღმოაჩინა (Dennis L Kasper,2018), რომ ფრაგილურ საიტებში გაწყვეტები A ATR ცილების არ არსებობისას კონტროლთან შედარებით მომატებული იყო 8-10-ჯერ. აგრეთვე აფედიქოლინის მოქმედებისას თუ უჯრედში არ არსებობს ATR ცილები, წარმოიქმნება გაცილებით მეტი წყვეტები. უჯრედის რეპლიკაციის მაკონტროლებელ ჯაჭვში A ATR ცილები არეგულირებენ რამდენიმე მნიშვნელოვანი ცილის აქტიურობას, მაგ. B BRCA ცილა. ATR ცენტრალურ როლს თამაშობს რეპლიკაციურ ჩანგლის სტაბილიზაციაში, S და G2/M უჯრედული ციკლის მაკონტროლებელ წერტილის ინდუქციაში რეპლიკაციის ინჰიბირების შემდეგ .

არის მოსაზრება , რომ ფრაგილური საიტები შეიძლება იყოს ცალ ძაფიანი, რომლის მიზეზია მეტაფაზური ქრომოსომების არარეპლიცირებული რეგიონების არსებობა და რეპლიკაციური ჩანგლის შესუსტება, მათ შესაძლოა საწყისი მისცენ წყვილ ძაფიან წყვეტებს( DSBs ) ზოგიერთ ქრომოსომაში (Shibo Li,2020).

როგორც ვხედავთ ATR და BRCA1 როლი უჯრედში მნიშვნელოვანია. BRCA 1 იღებს მონაწილეობას ზოგად ფრაგილური საიტების სტაბილურობაში, მისი ნაკლებობისას იზრდება გეპების და ფრაგილური საიტების რიცხვი. BRCA 1 გენის მუტაციისას, HCC1937

სარძევე ჯირკვლის უჯრედებში მომატებულია ფრაგილური საიტების ექსპრესია. თავის ემბრიონულ ფიბრობლასტის უჯრედებში ფრაგილური საიტების ექსპრესია მიგვითითებს BRCA1 გენის ფუნქციის დაქვეითებაზე (Martin et al., 2004).

ATR ცილების შესწავლის დროს კასპერი (Dennis L Kasper, 2018) დაინტერესდა “მონათესავე” ცილებით, რომლებიც აღმოაჩინეს რეპლიცირებული დნმ-ის სპეციფიური დაზიანების დროს. ATR პასუხისმგებელია რეპლიკაციის შეჩერებაზე დნმ-ის ორმაგი ძაფის გაწყვეტის დროს, დაზიანების აღდგენამდე. ATR-ის გარეშე უჯრედების შესწავლისას განსხვავება ფრაგილური საიტების არასტაბილურობაში, ნორმალურ უჯრედებთან შედარებით არ იქნა ნანახი.

## 2.5. შვილეულ ქრომატიდთაშორისი გაცვლები

შვილეულ ქრომატიდთაშორისი გაცვლების (შქგ) ფენომენი მდგომარეობს შვილეულ ქრომატიდებს შორის იზოლოკუსურ გაცვლებში, დუპლექსების აუცილებელი გაერთიანებით. შქგ-ს რაოდენობის განაწილება ქრომოსომებზე სრულიად პროპორციულია მათ შედარებით სიგრძისა და მათი შემადგენელი დნმ-ის რაოდენობისა. შქგ-ს სიხშირე მცირდება სტრუქტურული ჰეტეროქრომატინის განლაგების ადგილებში და ქრომოსომის ჰეტეროქრომატინიზებულ ნაწილებში (Lezhava, 1999, 2001). დადგენილია (Hoo, Perslow, 1979), რომ შქგ ძირითადად ხდება ევქრომატინულ რაიონებში.

დადგენილია, რომ შვილეულ ქრომატიდთა შორის გაცვლები უჯრედებში მიმდინარე სომატური რეკომბინაციის გამოვლენაა. შქგ-ს წარმოქმნა, უცილობლად არის დაკავშირებული ისეთ ფუნდამენტურ გენეტიკურ პროცესებთან, როგორცაა რეპლიკაცია, რეპარაცია. ამ კავშირების გამოვლენა მნიშვნელოვანია არა მარტო შქგ-ს წარმოქმნის მექანიზმებში გარკვევისათვის, არამედ ეუკარიოტებში გენეტიკური მასალის ფუნქციონირების უფრო სრული გაგებისათვისაც.

შქგ-ს მოლეკულური მექანიზმებთან დაკავშირებული ჰიპოთეზები ძირითადად ორ ჯგუფად ერთიანდება: “რეპარაციული” ჰიპოთეზის თანახმად, შქგ არის პოსტრეპლიკაციური რეპარაციის მაჩვენებელი და “რეპლიკაციური”, რომლის

თანახმადაც, რეკომბინაციის განსახორციელებლად აუცილებელი გაწყვეტები დნმ-ში ხდება რეპლიცირებული რეპლიკონების კლასტერების საზღვარზე (Painter, 1980).

მრავალი მუტაგენი იწვევს შქგს წარმოქმნას, თუმცა განსხვავებული მუტაგენები ინდუცირებენ მათ განსხვავებული ეფექტურობით. ისეთი ძლიერი მუტაგენი, როგორც მაიონიზებული გამოსხივებაა, გაცვლების სუსტ ინდუქტორს წარმოადგენს, თუმცა ცნობილია, რომ რადიაციის მოქმედებისას ადგილი აქვს დნმ-ს წყვეტებს, რის შედეგადაც ხდება ქრომოსომული აბერაციების ფორმირება. ამდენად, გაუგებარია რადიაციის სუსტი ეფექტურობა შქგ-ს ინდუქციის თვალსაზრისით. მაიონიზებული გამოსხივებისაგან განსხვავებით, ულტრაიისფერი სხივები შქგ-ს ძალზე ეფექტურ ინდუქტორებს წარმოადგენენ (Лазутка, 1990).

არსებობს ისეთ აგენტთა მნიშვნელოვანი ჯგუფი, რომლებიც ზრდიან შქგ-ს სიხშირეს უჯრედის მეტაბოლიზმზე ზემოქმედების გზით, ისე, რომ უშუალოდ არ აზიანებენ გენეტიკურ აპარატს. ამ ჯგუფს მიეკუთვნება ნივთიერებები, რომლებიც აფერხებენ დნმ-ს ძაფის ელონგაციას – შარდოვანა, აფიდიკოლინი და სხვ. დნმ-ს რეპლიკაციის ინჰიბირებას ახდენენ ცილის სინთეზის ინჰიბიტორებიც (მაგ., ციკლოჰექსამიდი). შესაბამისად, ჰისტონების დეფიციტის გამო ფერხდება არა მხოლოდ ელონგაცია, არამედ რეპლიკაციის სხვა მექანიზმებიც.

როგორც ლიტერატურაში მიუთითებენ, შქგ-ს მოლეკულური მექანიზმების კვლევისათვის აუცილებელია მათი შესწავლა ინდუქტორებით და მოდიფიკატორებით ზემოქმედების პირობებში. აღინიშნება, რომ გაცვლების პროცესის მოდიფიკატორების ზემოქმედება შემდგომ შესწავლას მოითხოვს, თუმცა დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ყველა ნივთიერება, რომელიც გავლენას ახდენს რეპლიკაციაზე, გავლენას ახდენს, აგრეთვე, შქგ-ს ფორმირების პროცესზეც. უჯრედული ციკლის S-ფაზა კრიტიკულ წერტილს წარმოადგენს გაცვლების ფორმირებისათვის. უჯრედების დამუშავება გაცვლების ინდუქტორით შეიძლება მოხდეს უჯრედული ციკლის ნებისმიერ ფაზაში, მაგრამ შქგ-ს ფორმირებისათვის ქრომოსომამ აუცილებლად უნდა გაიაროს S-ფაზა. ნაჩვენებია, რომ გაცვლების საიტების ლოკალიზაცია ქრომოსომის გასწვრივ მჭიდროდ არის დაკავშირებული რეპლიკაციის უბნებთან (რეპლიკონებთან) (Painter, 1980)

2.6. Ag - დადებითი ბირთვაკმაორგანიზებელი უბნების გამოვლენის სიხშირე და განაწილების თავისებურება აკროცენტრულ ქრომოსომებზე. ბირთვაკმაორგანიზებელი უბნები. მათი როლი რიბოსომების ფორმირებაში.

ადამიანის ათივე აკროცენტრული ქრომოსომის მოკლე მხარი, კლასიკურ შემთხვევაში, შედგება სამი ნაწილისაგან: მოკლე სეგმენტისაგან – რომელიც განლაგებულია ცენტრომეროს რაიონთან, ძაფისაგან („Stalk“) – რომელიც წარმოადგენს მოკლე მხრის მეორად ჭიმს (ბირთვაკის ორგანიზატორი) და პატარა, კომპაქტური სხეულაკის – თანამგზავრისაგან (სურ.2.6.1.)

დადგენილია, რომ ადამიანის აკროცენტრულ ქრომოსომათა თანამგზავრის ძაფს და თანამგზავრს ახასიათებს ძალზედ ფართო სპექტრი ფენოტიპური ცვალებადობის გამოვლენისა, რაც დაკავშირებულია იმ ქრომოსომების კონდენსაციის ლაბილობასთან, რომლის შემადგენლობაშიც შედიან. როგორც ჩანს, თანამგზავრის ძაფის სიგრძის ვარიაციები და ამ უკანასკნელის ზომები დაკავშირებულია კონდენსაციის ცვლილებასთან და თანმიმდევრულად, ქრომოსომების ფუნქციონირებასთან (Прокофьева-Бельговская, 1986).

დადგენილია, რომ ადამიანის ათივე აკროცენტრული ქრომოსომის მოკლე მხარი შეიცავს გენებს, რომლებიც აკოდირებენ 18s და 28s რიბოსომული რნმ-ების სინთეზს (Evans et al., 1974; de Silva et al., 2000). თანამგზავრის ძაფები, ბირთვაკმაორგანიზებელი უბნები (NOR), რომლებიც მონაწილეობენ ბირთვაკის შექმნაში, უმეტესწილად წარმოადგენილი არიან ჰეტეროქრომატინული რაიონებით. ბირთვაკთან დაკავშირებული ჰეტეროქრომატინი შეიცავს რიბოსომულ გენებს, რომლებიც მონაწილეობენ ერთ-ერთ ძირითად უჯრედულ პროცესში – ცილების სინთეზში. ეს ცილები განსაზღვრავენ უჯრედის ზრდას, მის ქიმიურ და სტრუქტურულ განახლებას (Olson et al., 2000).

რიბოსომული ცისტრონების ტრანსკრიპცია ხორციელდება ენდოგენური დნმ-დამოკიდებული რნმ-პოლიმერაზა I-ით (Matsui, Sandberg, 1985). წარმოიქმნება რნმ-პოლიმერაზა-I-ის კომპლექსები რიბოსომულ გენებთან. იმუნოფლორესცენციის

მეთოდის გამოყენებით ნანახია, რომ ტრანსკრიბირებადი რიბოსომული დნმ საიტები ლოკალიზებულია ბირთვაკის ფიბრილარულ ცენტრებში, ხოლო რნმ-პოლიმერაზა- I-ის მოლეკულები NOR-შია მოთავსებული. ამ მოლეკულების დიდი ნაწილი მთელი უჯრედული ციკლის განმავლობაში რჩება დაკავშირებული რ-რნმ-ის გენებთან.

დადგენილია, რომ NOR შერჩევითად იღებება აზოტმჟავა ვერცხლით (Bloom and Goodpasture, 1976). ქრომოსომები კარგავენ შეღებვის უნარს მათი პროტეოლიტური ან ჟანგვითი დამუშავებისას, რაც იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ Ag-შეღებვისას იღებებიან აკროცენტრული ქრომოსომების არაჰისტონური ცილები, რომლებიც აღადგენენ ვერცხლის იონებს (Matsui et al., 1986). არგენტოფილური ცილები ვლინდება აქტიურად ტრანსკრიბირებად ერთეულებში, მაგრამ არა სპეისერებში (Verma and Rodrigues, 1985).

კვლევებით დადგენილია, რომ მეტაფაზური ქრომოსომების ვერცხლით შეღებვა (Ag-ბენდირება) დამახასიათებელია მხოლოდ იმ ბირთვაკის ორგანიზატორთათვის, რომლებიც ინტენსიურად ფუნქციონირებდნენ წინამდებარე ინტერფაზასა და პროფაზაში და მათი შეღებვის ინტენსივობა დამოკიდებულია მათი ფუნქციური აქტივობის ხარისხზე (Lezhava et al., 1972; Lezhava, 1999; Heliot et al., 2000; Stitou et al., 2000). ეს დაკვირვებები საშუალებას იძლევა შევიმუშავოთ საფუძვლიანი ჰიპოთეზა, რომ ჰეტეროქრომატინიზაცია – თანამგზავრული ძაფების კონდენსაციის დონე, არის მიზეზი, რომელიც დაკავშირებულია ბირთვაკის ორგანიზატორთა აქტივობასთან, მასზე ლოკალიზებული აქტიური რიბოსომული გენების რაოდენობასთან.

ადამიანში აკროცენტრული ქრომოსომებიდან ასოციაციების ფორმირებაში მონაწილეობას დებულობენ როგორც ჰომოლოგიური, ასევე არაჰომოლოგიური ქრომოსომები. ქრომოსომების უნარი, შეერთდნენ და წარმოქმნან ასოციაციები, განისაზღვრება ორი ქრომატიდული თანამგზავრული ძაფის არსებობით. ე.ი. ქრომოსომები ითვლებიან ასოცირებულად, როდესაც შეერთებულია მათი თანამგზავრული ძაფების რომელიმე წყვილი. ასოციაციებში შედიან მხოლოდ ის ქრომოსომები, რომელთაც გააჩნიათ წინამორბედ ინტერფაზაში აქტიურად ფუნქციონირებადი NOR-ები (Verma et al., 1983).

ნაჩვენებია NOR-ის ტრანსკრიპციული აქტივობის დამოკიდებულება სქესზე, ასაკზე, ეთნიკურ ჯგუფზე, ასევე უჯრედების ტიპზე, მიტოზური დაყოფების რიცხვზე კულტურაში, უჯრედების მალიგნიზაციაზე (Грабовская и др., 1986) და სხვ.


ზოგიერთი ავტორის აზრით, აკროცენტრულ ქრომოსომათა ასოციაციები ხელს უწყობენ მეიოზში ამ ქრომოსომათა განურიდებლობას და აღნიშნავენ, რომ რეციპროკული ტრანსლოკაციები უპირატესად გვხვდება თანამგზავრების მქონე ქრომოსომებში (Joens et al., 1988).

ასოციაციებში ჩართვის მომატებული ტენდენცია 21-ე ქრომოსომისთვის აღმოჩენილია დაუნის სინდრომით დაავადებულებსა და მათ მშობლებში. აკვირდებოდნენ მარკერულ 21-ე ქრომოსომას გაორმაგებული Ag-პოზიტიური უბნით, შენიშნეს, რომ ეს ქრომოსომა ხასიათდებოდა ასოციაციებში შესვლის მაღალი უნარით (Yasseen and Musavi, 2001).

ამრიგად, კავშირი Ag-შეღებულ მეტაფაზური ქრომოსომების თანამგზავრულ ძაფებსა და Ag-შეღებვის ინტენსივობას შორის, უმთავრესად განპირობებულია მათი ბირთვაკის მორგანიზებული ფუნქციით (Hens et al., 1980; Trere, 2000).

ბირთვაკისა და ბირთვაკის მორგანიზებული უბნების ფუნქციონირება, რომლებიც უჯრედის უმნიშვნელოვანეს მოლეკულურ-გენეტიკურ პროცესებში მონაწილეობენ, უჯრედის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ბირთვაკის ორგანიზატორების მუშაობის კანონზომიერებათა შესწავლა სხვადასხვა ხასიათის ფუნქციონალური ცვლილებების პირობებში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.





სურ.2.6.1. წარმოდგენილია აკროცენტრული ქრომოსომის სტრუქტურა სქემატურად

## 2.7. მეტალთა იონების ბიოლოგიური აქტივობა

ინტერესი სხვადასხვა ბიოლოგიურ პროცესზე მეტალთა იონების ზემოქმედებისადმი უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეს განპირობებულია როგორც მეტალებით გარემოს დაბინძურების დონის ზრდით, ისე იმ როლით, რომელსაც ისინი ასრულებენ უჯრედთა ცხოველქმედების ყველა ეტაპზე. მეტალთა იონებით რეგულირებადი პროცესებისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებული სირთულე. მაგალითად, კალიუმის, მაგნიუმის, რკინის, კობალტის, მოლიბდენის, სპილენძის, და თუთიის იონები შედიან იმ ფერმენტთა შემადგენლობაში, რომლებიც აკატალიზებენ ისეთ რეაქციებს, როგორცაა ჯგუფების გადატანა, ჟანგვა-აღდგენითი და ჰიდროლიზური პროცესები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესებში მონაწილეობენ არა მარტო მეტალშემცველი ფერმენტები, არამედ რიგ შემთხვევებში სხვა ცილოვანი სისტემებიც, რომლებიც ახორციელებენ როგორც მეტალთა იონების დაგროვებას და კონტროლს მათ კონცენტრაციაზე, ისე უზრუნველყოფენ მათ ტრანსპორტირებას შესაბამის ადგილებში და საჭირო ფერმენტულ სისტემებში ჩართვას. კალიუმის,

